PDF Eraser Free



სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე
ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ელენე კაკაბაძე
**წევრები:** ეკატერინე გიგაშვილი
მაგული მებონია
ირმა არსენაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
თამარ ახალაძე
ნინო მოწყობილი
გიორგი ხაბეიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის ბრძანების # MES 0 22 0000375006 საფუძველზე ვიზიტი განხორციელდა სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ პირობების შესაბამისობის შეფასება.

სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 2 და 3 მაისს ქ. ქობულეთში, ხოლო, 4 და 5 მაისს დაბა ხულოში, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - ელენე კაკაბაძე (თავმჯდომარე), ეკატერინე გიგაშვილი (წევრი), დარგის ექსპერტები: მაგული მებონია („ელექტროობა“), ირმა არსენაშვილი („ვეტერინარია“), ალექსანდრე კეკენაძე („ინფორმაციის ტექნოლოგია“), თამარ ახალაძე („მეფუტკრეობა“), ნინო მოწყობილი („სასტუმრო მომსახურება“) და გიორგი ხაზეიშვილი („სატყეო საქმე“), რომელმაც ვიზიტში ჩართვა განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ვიზიტის განხორციელებამდე, ექსპერტების მიერ წინასწარ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. შეხვედრები გაიმართა როგორც პირისპირ ისე ონლაინ რეჟიმში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემოწმების მთავარი ობიექტი იყო დაბა ხულოს ფილიალი. დაწესებულების სტრუქტურის შესაბამისად ძირითადი პროცესების მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად და მარეგულირებელი დოკუმენტაცია ინახება ქობულეთში, ხოლო ხულოს ფილიალში სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილია ისეთი პოზიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხულოში პროცესების განხორციელებას და პასუხისმგებელნი არიან ადგილზე მიმდინარე პროცესებზე. დღის წესრიგით გაწერილი ყველა კომპონენტი იქნა შემოწმებული და შეფასებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

## III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

### შესაბამისობის რეკომენდაცია

4.1.1.1 - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ და დაწესებულების სტრუქტურა. ასევე შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რასაც ითვალისწინებს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“.

5.1.2.1 - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

## განმავითარებელი რეკომენდაცია

**4.1.1.2.** სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის ნათლად ასახვის თვალსაზრისით ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის, ქსელის ადმინისტრატორისა და კომპიუტერული ქსელის სპეციალისტის, აგრეთვე სასწავლო პროცესის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში განსაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელებისა და ანგარიშგების მოვალეობები. ასევე უნდა შეავსოს დამხმარე პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები.

4.2.1.1. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი" დაიხვეწოს რათა სწორად განხორციელდეს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. ასევე აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისიბაშია მოსაყვანი დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტთან".

**5.1.2.4.** სასურველია დაწესებულებამ შესაბამისი საშტატო ერთეულის ფუნქციებში განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასხისმგებელი პირი, როგორც მისი დაზიანების (ტექნიკური მხარე), ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღების (პროგრამული მხარე) მიმართულებით.

## მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2.2.2.2 - სასურველია დაემატოს პროფესიულ მოდულების განმახორციელებელი პედაგოგები, ვინაიდან ორივე ცვლაში ერთ მასწავლებელზე მოდის ძირითადი დატვირთვა, რომელიც ასევე პროგრამის ხელმძღვანელია, თუმცა თავად მასწავლებელი კვალიფიცირებული, გამოცდილი და მოტივირიბულია, არ არის დაკავებული სხვა სამუშაოზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“

2.1.1.5. - პროგრამაში უნდა აისახოს არჩევითი მოდული „მეწარმეობა 1“, რომელიც ლოგიკურად კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

2.2.1.1. - სასურველია ხელშეკრულების დანართში სწავლის შედეგების დონეზე იყოს გამიჯნული პრაქტიკის ობიექტზე გატანილი საკითხები.

2.4.1.6. - სასურველია „ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესში“ არსებობდეს ჩანაწერი ისეთ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ფუტკრის დაკბენის შემთხვევაში, ალერგიული რეაქციების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების, სასწრაფო ქმედებების შესახებ და პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებდეს ინსტრუქტაჟს ამ საკითხთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

2.2.1.1. - სასურველია განახლდეს პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი და თანამშრომლობა დაიწყოს ისეთ სასტუმროებთან, სადაც სტუდენტს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნება სასტუმროს მუშაობის სპეციფიკასა და სერვისებზე.

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## VIII. სტანდარტების შეფასება

### 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

### 1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

### 1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**
   სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მისიაა - პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილის შეტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის

PDF Eraser Free

ხელშეწყობით საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა. კოლეჯის მისია წინააღმდეგობაში არ მოდის პროფესიული განათლების მიზნებთან და თავის მხრივ ორიენტირებულია პროფესიული განათლების ხუთივე მიზანზე.

**კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

   პსდ-ს მისიით გაცხადებულია, რომ იგი მრავალპროფილურია, ორიენტირებულია საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებაზე. მისიით თვალსაჩინო ხდება, რომ დაწესებულება ოპერირებს პროფესიული განათლების მიმართულებით. მისი შინაარსი მოტივირებულია და მიმართულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

   **სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

   **დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის შესაბამისი ხედვა და ღირებულებები.** დაწესებულების **ხედვაა** მისი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ საერთაშორისო ბაზარზე და ორიენტირებულია საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და თანამშრომლობაზე. დაწესებულების **ღირებულებებში** გაცხადებულია ის ძირითადი პრინციპები, რითაც დაწესებულება გეგმავს ფუნქციონირებას. მოცემულ შემთხვევაში გუნდურობა და ინოვაციურობა მიაჩნიათ წარმატების მიღწევის გარანტად.

   **სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

   პსდ-ს დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

2021 წლის 3 აგვისტო), რომელშიც გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების წესი. კოლეჯის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას იღებს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია პსდ-ს ვებგ-ვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე განთავსებულია კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას დიდ ბანერზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრების ოქმები და ფოტომასალა, რითაც დასტურდება, რომ კოლეჯმა მიაწოდა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. აღნიშნული დაადასტურა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუმაც. **კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო);
3. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მე-9 მუხლით დადგენილია ის მახასიათებლები, რისგანაც უნდა შედგებოდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა. კერძოდ, შესავალი, რომელშიც განხილული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

იქნება წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები, სამომავლო პერსპექტივები და ძირითადი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ; SWOT ანალიზის ან დაგეგმვის სხვა ტიპის სტრატეგიის მეთოდოლოგიის ანალიზის შედეგები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შემუშავებულია მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად და მოიცავს თითოეულ დოკუმენტს, რაც მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. მონიტორინგისა და შეფასების წესში ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდულობა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება წელიწადში ორჯერ ივნისსა და დეკემბერში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ერთხელ, სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშის საფუძველზე. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს https://plan.kpc.ge/ პორტალის ამოქმედება უახლოეს პერიოდში, რომელსაც გამოიყენებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების, გაზიარების, მასში ცვლილებების შეტანის და მონიტორინგის პროცედურები.

**პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-8 მუხლით განსაზღვრულია დაგეგმვის პროცესში რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების გათვალისწინება, მათ შორის დარგობრივი სტრატეგიების გათვალისწინება. ასევე სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების მხედველობაში მიღება. ამავე წესის მერვე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს კოლეჯის დირექტორი შესათანხმებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება სამეთვალყურეო საბჭოს ჩართულობა სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების პროცესში. კოლეჯმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

წარმოადგინა ასევე შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, რომლითაც ადასტურებს სხვადასხვა პროგრამების განხორციელების საჭიროებას. ასევე წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა ორგამიზაციებთან მიწერილობის დამადასტურებელი ელექტრონული წერილები.

**სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანებით დამტკიცებული 2019-2025 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა მოიცავს ხუთ სტრატეგიულ მიზანს: 1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება. 2. მაღალმთიან აჭარაში, დაბა ხულოში ფილიალის დაარსება, რომელიც ავტორიზაციის მომენტისთვის უკვე ამოქმედებული ჰქონდათ; 3. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; 4. სტუდენტური სერვისების განვითარება; 5. ადამიანური რესრუსის განვითარება. სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები ეხმიანება მისიას. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა ნათლადაა ჩამოყალიბებული, იძლევა კოლეჯის სტრატეგიული ხედვის დანახვის შესაძლებლობას, მასში განსაზღვრულია ისეთი მკაფიო მიზნები მაგ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარება, სტუდენტური სერვისების განვითარება, ადამიანური რესურსების განვითარება და მათი შესაბამის ამოცანები: მიმდინარე პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათანამედროვება; ახალი საერთაშორისო პროექტების, პარტნიორების/საწარმოების მოძიება/თანამშრომლობა; პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა უშუალოდ პასუხობს კოლეჯის მისიასა და ხედვას.

სტრატეგიული გავითარების გეგმაში განსაზღვრულია ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები თითეული ამოცანისთვის. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის აქტივობები, რითაც უნდა მოხდეს კონკრეტული მიზნის მისაღწევი ამოცანების შესრულება და ინფორმაცია საჭირო რესურსების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება დაგეგმვისას განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი"(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო);
3. პერსონალთან გასაუბრება;
4. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. 2019, 2020, 2021, 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

კოლეჯში სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის დაგეგმილია პლატფორმის შექმნა. ამ ეტაპზე მონიტორინგთან დაკავშირებით კოლეჯმა წარმოადგინა სხვადასხვა სამსახურის ანგარიშები, eflow-ს დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში ატვირთული სამსახურებრივი ბარათები, რომელშიც სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოადგენენ პასუხისმგებელი პირები აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დირექტორის მოვალეობის შესრულებელთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ იგი პირადად ახორციელებს მონიტორინგის პროცესს. კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთულია ასევე კორექტირებული სამოქმედო გეგმები, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების პროცესი ნამდვილად მიმდინარეობს და საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესის" მე-11 მუხლით დადგენილია მონიტორინგის განხორციელებისა და შეფასების წესი, რითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება პროცესის მიმდინარეობისას.

**დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-11 მუხლში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები, რომლითაც განსაზღვრულია როგორ რეაგირებს დაწესებულება შეფასების შედეგებზე. აღნიშნული წესის თანახმად, ინიცირება წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც შესათანხმებლად ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის შედეგად თანამშრომლებისთვის დაკისრებული იქნა დისციპლინარული სახდელი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი წერილებით და eflow-ს დოკუმენტაციით. შეფასებაზე რეაგირებას ადასტურებს კორექტირებული სამოქმედო გეგმებიც.

**დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

3. **სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

სამოქმედო გეგმის შესრულების **ანგარიშები** ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

**პსდ-ს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“(2020 წლის 21 დეკემბრის #01-04/217 ბრძანება; ცვლილება #01-04/118 2021 წლის 3 აგვისტო);
2. პერსონალთან გასაუბრება;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. 2019, 2020, 2021, 2022 წლის ერთწლიანო სამოქმედო გეგმები;
5. სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის ბრძანებით N 01-04/110 დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესი. ეს წესი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, სტატუსის აღდგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**დაწესებულების შიდა რეგულაციებით დაცულია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებები და გარანტიები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მსრეგულირებელი წესის“ შესაბამისად სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ. ასევე ვებ-გვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს კოლეჯი მსურველებს. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით და ვიზიტის პერიოდში მათთან გასაუბრებით **დასტურდება, რომ ისინი იცნობენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.**

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის, ასევე იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგებისგასაჩივრების წესის გამოყენება პრაქტიკულად არ მომხდარა, თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რაც გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლში.

**პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების გადამოწმება, მათ შორის არასრულწლოვან პირთანაც, სადაც გაწერილია მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. არასრულწლოვანებთან ხელშეკრულება ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენელთან; ხელშეკრულება ფორმდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესის (პროცედურის) შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებაში ცვლილებები შედის რეგულაციების შესაბამისად, გონივრულ ვადებში და პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესები.

**პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

კოლეჯის „სასწავლოს პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლის თანახმად, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ) ; დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის ა ქვეპუნქტით გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობასაც ადასტურებდნენ პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით. ინტერვიუს დროს ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ინდ.გეგმების დამტკიცება არ ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სამართლებრივი აქტით, რაც დადასტურდა ასევე ინდ.გეგმების ნახვის დროსაც. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხელშეკრულებები;
2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
4. ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

### 3.2.1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

**1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლებლის მასწავლებლისგან იღბს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭრას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შფასების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შმთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. აღნიშნული დასტურდება ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- -------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის თანახმად, სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აცნობს კოლეჯის სერვისებს და ინფრასტრუქტურას ინფოტურის მეშვეობით (ბიბლიოთეკა, რეკრეაციული ზონები და ა.შ.). სასწავლო წლის პირველ დღეს კოლეჯის პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი პრეზენტაციის საშუალებით აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდს. ვებ-გვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს კოლეჯი მსურველებს, ასევე კოლეჯში მოქმედ სხვადასხვა სერვისებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს, მათ უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და „პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესს“. სასწავლო წლის დასაწყისში, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, კოლეჯის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს. პროფესიულ სტუდნეტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს სასწავლო გარემოში მათ ადაპტაციაზე.

**კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების კურატორები დროულად აწვდიან მათ საჭირო ინფორმაციას და შესაბამის დახმარებას.

**პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

კოლეჯი მარეგულირებელი წესის თანახმად, უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, ახალისებს და ხელსუწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებით, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემოქმედებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს; ისინი გეგმავენ აქტივობებს, გამოყოფენ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს- ღონისძიების მომწყობს, რომელიც ინიციატივის საფუძველზე ათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. განსახორციელებელ ღონისძიებას აანონსებენ კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე ფეისბუქ გვერდზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯის ვებ-გვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები განხორციელებული და განსახორციელებელი სტუდენტური ინიციატივების, აქტივობებისა და პროექტების შესახებ, რითიც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

**პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. ქმნის კითხვარებს და აანალიზებს მათ, დაწესებულება სტუდენტისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, 28/05/2021 წელს კოლეჯს ჩატარებული აქვს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარი, რომლითაც ახდენს სტუდენტთა გამოკითხვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კითხვარი მოიცავს როგორც მოდულის განმახორციელებელ პირთა და სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ კითხვებს, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციული ნაწილის მუშაობის შეფასებასთან დაკავშირებით. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გადამოწმდა გამოკითხვის შედეგების გაანლიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია-კოლეჯის ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათები. შესაბამისად,
**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები;
2. სტუდენტური ღონისძიებებისა და ინიციატივების ამსახველი დოკუმენტაცია;
3. კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
4. „სტუდენტური სერვისებისთვის (კონფერენციები, შეჯიბრებები, ტრენინგები, მასტერკლასები, ექსკურსიები და სხვ.)“ გაწერილი ბიუჯეტი;
5. პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

PDF Eraser Free

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.**კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**

კოლეჯს ჰყავს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერაზე. პროფორიენტაციის და კარიერის მენეჯერთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კარიერული მხარდაჭერის სერვისი ფუნქციონირებს და სტუდენტები სხვადასხვა სახის კუნსულტაციას იღებენ პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისგან.

**კოლეჯში კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**

**2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

დაწესებულება მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მოლაპარაკებას დამსაქმებლებთან. ახორციელებენ დამსაქმებელთა ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და განახლებას; ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით, რასაც ახორციელებს შექმნილი ბაზებით. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გამოყენებით აცნობებს სტუდენტებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა დამსაქმებელთა ბაზები. ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულია.

**კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

**3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები,“ რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგიას და რელევანტურია კვლევის მიზნის, გაწერილია პასუხისმგებელი პირი, კვლევის ჩატარების პერიოდები, პარამეტრები. კვლევა ითვალისწინებს ისეთ პარამეტრებს როგორიცაა: დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით, რაც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა ის დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. (ამ მიზნით კოლეჯი მუდმივად აახლებს კურსდამთავრებულთა ბაზას).

**კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**

**4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარს“ და „დამსაქმებელთა კვლევის კითხვარს“, რომლის მეშვეობით პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ატარებს დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას და ანალიზს; კვლევის შედეგად ცვლილება შევიდდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“, სარესტორნო მომსახურება“ და შესაბამისად, პროგრამებს არჩევით მოდულად დაემატა „ბარის ორგანიზება“.

**დაწესებულება კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შედეგები;
3. პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

დაწესებულებას, სტრატეგიული მიზნებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით, შემუშავებული აქვს სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაო აღწერილობები). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შერეული ტიპის სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს საქმიანობების გადანაწილების პრინციპებს და იერარქიულია; კოლეჯის სტრუქტურაში საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულების- მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო საქმიანობის შესაბამისი პერსონალი მოაიზრება, რომლებიც უზრუნველყოფენ პსდ-ში ძირითადი და მიმდინარე პროცესების განხორციელებას.

სტრუქტურის შესაბამისად დაწესებულების ძირითადი პროცესების მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად და მარეგულირებელი დორკუმენტაცია ინახება ქობულეთში, ხოლო ხულოს ფილიალში სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილია ისეთი პოზიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხულოში პროცესების განხორციელებას და პასუხისმგებელნი არიან ადგილზე მიმდინარე პროცესებზე.

პსდ-მ ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან მიმართებით **მეტწილად შეაფასა** საკუთარი დაწესებულება და წარმოადგინა დოკუმენტაციის პაკეტი გაუმჯობესების გეგმასთან ერთად. დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვართან ერთად წარმოდეგენილი გაუმჯობესების გეგმა დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული 2022 წლის 24 თებერვალს. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ფორმატის მიხედვით მისი განხორციელება დაგეგმილია მარტის თვიდან, ხოლო მოქმედების ვადა არა ექვს თვეზე, არამედ 10 თვეზეა გაწერილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმით იდენტიფიცირებულია ოთხი პრობლემური საკითხი, მათგან ორი საკითხი ეხება დაწესებულების ადამიანურ რესურსებს, კერძოდ, სტრუქტურის შეუსაბამობას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან და პერსონალის შეფასების წესის გაუმჯობესების საკითხს. იდენტიფიცირებულ პრობლემასთან დაკავშირებით, კოლეჯს გაწერილი აქვს „გაუმჯობესების გეგმა“ თვეების მიხედვით. შესრულების გრაფიკის, აქტივობების, შესრულების ინდიკატორების, მტკიცებულებების, პასუხისმგებელი და ჩართული პირების, მონაწილე მხარეების, ადამიანური რესურსის, დაფინანსების წყაროს,მატერიალური რესურსი და შესრულების სტატუსი - შესავსები ველებია დატოვებული და ნაკლებ ინფორმაციას იძლევა შეფასებისთვის.

გაუმჯობესების გეგმის მიხედვით ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა კონკრეტული აქტივობების შესრულების ვადები და მტკიცებულებები. გეგმის მიხედვით ვიზიტის პერიოდში ვადის შესაბამისად შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და სტრუქტურის პროექტის სამუშაო ვერსია. მეორე აქტივობა ეხება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და სტრუქტურის პროექტის სამუშაო ვერსიის შექმნასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს. კოლეჯმა წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შხვედრაზე დასწრების ამსახველი დოკუმენტი და ასევე შეხვდრის ამსახველი ოქმი, სტრუქტურის სამუშაო ვერსიის დოკუმენტი და ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია.

დაწესებულებაში ექსპერტებმა ვიზიტისას დაადგინეს რომ დაწესებულების მიერ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, ექსპერტების ვიზიტზე ყოფნის პერიოდში, დირექტორის მ/შ -ის 2022 წლის 2 მაისის № 01-04/96 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „ახალი ტალღა“ მოდიფიცირებული სტრუქტურისა და პერსონალის შეფასების წესის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა და განსაზღვრულია სამუშაოს შესრულების ვადად 25 აგვისტო. სამუშაო ჯგუფის ვალდებულებად განისაზღვრა მითითებულ ვადაში 2020 წლის 28 დეკემბრის ბრძანების გათვალისიწნებით მოდიფიცირებული სტრუქტურის და პერსონალის შეფასების წესის წარდგენა. პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ამსახველი ოქმი და ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პროექტი სამუშაო ჯგუფის შექმნიდან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. გაუმჯობესების გეგმაში გრაფები: ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსი ასევე შესრულების სტატუსის გრაფა შეუვსებელია ყველა იდენტიფიცირებულ პრობლემასთან მიმართებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების გამოსწორების მიზნით და წარმოადგინა დირექტორის მ/შ -ის მიერ 2022 წლის 18 ივლისის N 01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ ხარვეზს, აქტივობას, განხორციელების პერიოდს (18.07.2022 – 18.01.2023წწ.), პასუხისმგებელ პირს, შემსრულებელს, რესურს, კოლეჯის გარდა სხვა ჩართულ მხარეებს და მტკიცებულებას.

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტებმა გავითვალისწინეთ აღნიშნული დოკუმენტი და დაწესებულების მხრიდან გამოთქმული მზაობა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და გავეცით შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ და დაწესებულების სტრუქტურა. ასევე შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რასაც ითვალისწინებს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“.

შესაბამისად, კომპონენტის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულებას აქვს დირექტორის მიერ 2020 წლის 27 ივლისის 01-04/126- ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა, რომელიც არის შერეული ტიპის და გულსხმობს როგორც ძირითად ასევე დამხმარე პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურების ურთიერთმიმართების და ანგარიშვალდებულებების საკითხებს. დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ცენტრალიზებულად ქობულეთში, თუმცა ხულოს მისამართზე გარკვეული საქმიანობებისა და პროცესების განხორციელებას ადგილობრივი კადრები ახორციელებენ. დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით, კოლეჯის სტრუქტურა შედგება კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთაგან(შტატგარეშე თანამშრომლებისაგან-ასეთის არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის თანამშრომლების დანიშვნას და მათ უფლება-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

მოვალეობებს არეგულირებს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა კანონქვემდებარე აქტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, შიდა სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტების შემუშავება ხორციელდება ცენტრალიზებულად.

წარმოდგენილი სტრუქტურა მოიცავს ინფორმაციას დამხმარე პერსონალის პოზიციების შესახებ, სტრუქტურაში გათვალისწინებულია: კვების ბლოკის ხელმძღვანელი, მძღოლი, დამლაგებელი, დარაჯი, მეეზოვე, ცეცხლფარეში, დამხმარე პერსონალი, სასტუმროს ადმინისტრატორი, საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი თუმცა აღნიშნულ პოზიციებზე არ არის წარმოდგენილი სამსახურეობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

სტრუქტურის მიხედვით ხულოში საქმიანობას ახორციელებენ შემდეგ პოზიციებზე მყოფი პირები:

- ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი;
- მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი;
- სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- სასწავლო-საწარმო პრაქტიკის მენეჯერი;
- საქმისმწარმოებელი;
- ტექნიკური პერსონალი;

სტრუქტურის მიხედვით, ხულოს ფილიალში ადმინსტრაციული საქმიანობა არის იექრარქიული და იმართება ცენტრალიზებულად. მათ შორის არსებული ფუნქციები და მოვალეობები გამომდინარეობს იერაქრქიიდან და მართვის პრინციპებიდან. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა წარიმართება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ცენტრალიზებულად, ხოლო, ხულოს ლოკაციაზე არსებული საშტატო ერთეულები ადგილზე უზრუნველყოფენ ცენტრალურ სტრუქტურებთან ერთად კოორდინირებულ საქმიანობას.

**განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის ნათლად ასახვის თვალსაზრისით ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის, ქსელის ადმინისტრატორისა და კომპიუტერული ქსელის სპეციალისტის, აგრეთვე სასწავლო პროცესის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში განსაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელებისა და ანგარიშგების მოვალეობები. ასევე უნდა შეავსოს დამხმარე პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები.**

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი და სტრუქტურულად მის დაქვემდებარებაში მყოფი ხარისხის მართვის ორი სპეციალისტი, მ.შ. ერთი ხულოს ლოკაციაზე. სამსახურის საქმიანობა ხორციელდება ცენტრალიზებულად და კოორდინირებულად. ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართული დემინგის ციკლის შესაბამისად ძირითადი პროცესების, გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა ხორციელდება მენეჯერის მიერ, ხოლო განხორციელების პროცესს, პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა, მატერიალური რესურსით კმაყოფილების შეფასება როგორც ქობულეთში, ასევე ხულოში ხორციელდება კოორდინირებულად. შესაბამისად გამოყოფილი პირის საქმიანობა რეგულირდება საშტატო ერთეულების, დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მოვალეობების დოკუმენტით, გარდა ამისა ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. წესდება;
2. შინაგანაწესი;
3. დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის 01-04/126- ბრძანება;
4. დაწესებულების სტრუქტურა;
5. თანამდებობრივი ინსტრუქციები (სამუშაო აღწერილობები);
6. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
7. პერსონალის პირადი საქმეები;
8. პერსონალის დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/მომსახურების ხელშეკრულებები;
9. ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმა;
10. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი;
11. გაუმჯობესების გეგმა;
12. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

პსდ-ს პერსონალის მართვის პროცესები გაწერილი აქვს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტში“ და შინაგანაწესში, რომელიც მოიცავს: პერსონალის მოზიდვას; პერსონალის შერჩევას; პერსონალის დანიშვნას; ახალი თანამშრომლების ინტეგრაციისა სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვისა სამუშაო პროცესში; პერსონალის შეფასებას; პერსონალის პროფესიულ განვითარებას; პერსონალის წახალისებას, მათ შორის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას; პერსონალის კმაყოფილების კვლევას; პერსონალის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლებას და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

პერსონალის მართვის აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, იგი განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის eflow-ს მეშვეობით,

პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულება შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

პსდ-ს შინაგანაწესი და საკანონმდებლო მოთხოვნები არეგულირებს შრომით ურთიერთობას, უსაფრთხოების პროცესებს, ასევე განსაზღვრავს მოტივაციისა და დისციპლინარულ, კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, განთავსებულია ვებ-გვერდზე. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ პერსონალის ინფორმირება, რისთვისაც განსაზღვრულიაშიდა კომუნიკაციის ფორმები. კომუნიკაცია ძირითადად ხდება ელექტრონული ფოსტების, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენებით. საჭიროებისას იგეგმება შეხვედრები. პერსონალის შერჩევა და პროცედურები ხორციელდება შიდა რეგულაციების შესაბამისად და უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და გამოცდილების მქონე კადრების მოზიდვას აჭარის რეგიონში.

პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული პირობები არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და შრომითი ხელშეკრულების შინაარსს. პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ასახული: მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა; სამუშაო დრო და დასვენების დრო; სამუშაო ადგილი; თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე; შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი და ანაზღაურების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულებების მიცემის წესი. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. თანამშრომელთა პირადი საქმეების შიგთავსი განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალით და რეალურადაც მოიცავს ამ პროცესის შესაბამისად დადგენილ ინფორმაციას. დამატებით კოლეჯმა შეიმუშავა „კონკურსის საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები", რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 11 თებერვლის N01-04/25 ბრძანებით.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

პსდ-ში საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი არის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რომელიც ითვალისწინებს: შესაბამისი პოზიციიდან გამომდინარე განათლების დონეს, სამუშაო გამოცდილებას, საკანონმდებლო ბაზის ცოდნას, ენის ფლობას და უნარებს. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, რომელიც მოიცავს პერსონალის კვალიფიკაციის დამადასატურებელ ინფორმაციას და შსაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

**პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებსპერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. შინაგანაწესი;
2. დაწესებულების სტრუქტურა;
3. თანამდებობრივი ინსტრუქციები (სამუშაო აღწერილობები);
4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. პერსონალის დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/მომსახურების ხელშეკრულებები;
7. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი.
8. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;
9. განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა;
10. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2 პერსონალის განვითარება

### 4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

**1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება  პოლიტიკის დოკუმენტი“ (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2020 წლის 28  დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით), რომლის მე-3 თავი ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას. დოკუმენტის შესაბამისად  - პერსონალის საქმიანობის შეფასება  ხორციელდება კოლეჯის  თითოეული პოზიციის შესაბამისად  შემუშავებული  სამუშაო აღწერილობების  შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის

PDF Eraser Free

პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება. პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯს შემუშვებული აქვს სხვადასხვა მეთოდები (მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ.). რომელთა გამოყენებასაც სამომავლოდ აპირებენ. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარის" შესაბამისად შემუშავებული კითხვარებით განხორციელებული გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგები და დაგეგმილი ღონისძიებები. კითხვარის საშუალებით ადმინისტრაციულ პერსონალს აფასებს დირექცია, ხოლო ადამიანური რესურსების სპეციალისტი ახორციელებს შედეგების ანალიზს. პერსონალის შეფასება ხდება 5 ქულიანი სისტემით, საიდანაც - 0 უდრის სრულად არადამაკმაყოფილებელს, ხოლო 5 - სრულად დამაკმაყოფილებელს. შესაფასებელი უნარ-ჩვევებია:სამუშაოს შესრულების ხარისხი, სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების უნარი, ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარი, სამუშაოს დროულად შესრულება, კომუნიკაციის უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, სამუშაოს შესრულების ვადების დაცვა და სამუშაო შინაგანაწესის/ეთიკის დაცვა.

**დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი" დასახვეწია, რაც ასევე კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა. მათ შემუშავებული აქვთ გაუმჯობესების გეგმა, რათა სწორად განხორციელდეს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.**

**ასევე აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისიბაშია მოსაყვანი დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტთან".**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**

დაწესებულების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში, კერძოდ სტრატეგიული მიზანი N 5 (1,2,3) ითვალისწინებს გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შედეგად პერსონალის განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებს, პერიოდს და პასუხისმგებელ პირებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ასევე გაწერილია 2022 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმა.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

კოლეჯი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს. კერძოდ, სწავლება/შეფასებისა და დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით მათ უტარდებათ შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „პერსონალის შფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი,“ რომლის მე-9 დანართის შესაბამისად ხორციელდება მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების კვლევა.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

კოლეჯს 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით დამტკიცებული აქვს - „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება - პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის მეორე თავის 2.2 პუნქტი ითვალისწინებს -პერსონალის მიღებასა და ადაპტაციას. დაწესებულებას ასევე 2022 წლის 11 თებერვლის N01-04/26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს - „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი“, რომელშიც გაწერილია: ადაპტაციის პროცესში მონაწილე მხარეები და პროცედურები. წესს დანართის სახით დართული აქვს ინტეგრაციის პროცესში გამოსაყენებელი ფორმების შაბლონები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული წესით მიღებული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესში შევსებული ფორმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

PDF Eraser Free

**5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დაწესებულების შინაგანაწესის მე-8 თავი ითვალისწინებს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას (მუხლი 26.), წახალისებას (მუხლი 27.) და დაწინაურებას (მუხლი 28.). წახალისების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ან/და დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელის წარდგინებით (სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე). წახალისების ფოირმებია: მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო (პრემია), დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კვალიფიკაციის ასამაღლებელი ან პროფესიული გადამზადების კურსებზე გაგზავნა.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების შინაგანაწესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

2. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი;
3. პერსონალის შეფასების წესი  და საჭიროებათა კვლევის კითხვარი;
4. ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი;
5. გაუმჯობესების გეგმა;
6. შევსებული კითხვარები და გამოკითხვის შდეგები;
7. პერსონალის პირადი საქმეები;
8. ვებ-გვერდი;
9. სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
10. პერსონალთან გასაუბრება;
11. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

#### 5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა" უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.

კოლეჯის მფლობელობაშია აჭარაში, ქობულეთში რუსთაველის N 154-ში 9433 მ2 ფართობზე განლაგებული შენობა-ნაგებობები, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქობულეთის მისამართზე ფართში განთავსებულია ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები - 30 A გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები 16 B გარემო, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომლებისთვის 16 სამუშაო ოთახი, 19 პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნო, შეხვედრების და საკონფერენციო 3 სივრცე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის 3 ოთახი, პროფესიული სტუდენტებისთვის დასვენებისა და მუშაობისთვის გამოყოფილი სივრცეები, 9 სანიტარული კვანძი გოგონებისა და ვაჟებისთვის ცალცალკე, მათ შორის 2 შშმ პირებისთვის ადაპტირებული, 1 ბიბლიოთეკა, 1 არქივი, 1 საწყობი და 4 ფოიე.

ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტეეული ტექნიკით. კოლეჯს ქობულეთში ასევე გააჩნია დახურული სპორტული დარბაზი, სტადიონი სპორტული ღონისძიებებისათვის, დარბაზი სხვადახვა ტიპის შემოქმედებითი ღონისძიებებისათვის, კეთილმოწყობილი ეზო, სტუდენტური კაფე, რესტორანი, სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველადი დახმარების ოთახი.

მატერიალური რესურსების მართვა/შეფასებაკოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის“ შესაბამისად მე-3 მუხლში გაწერილია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობები, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელოსნო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დაუბრკოლებლადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული რეგულაცია და განხორციელდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ **კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.**

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ფართებისა დეზინფექცია და დასუფთავება, რასაც ახორციელებს 2 დამლაგებელი.

კოლეჯში დაცულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყველა რეკომენდაცია Covid-19- ის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის თვალსაზრისით, გაესაუბრნენ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს და დაადგინეს, რომ **კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემის ვიზუალური დათვალიერება, რომლის ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, დიზელის საწვავის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით და კოლეჯის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობითა და მათი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობით . **შესაბამისად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.**

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N01-04/95 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის N01-04/216 ბრძანებით) დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“.

კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში შრომის უსაფრთხოებას. მასთან გასაუბრებითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახანძრო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომელიც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით, ხელმოწერების ჟურნალებითა და ფოტომტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ **კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სახარჯი მასალების აღრიცხვა/გაცემის პროცედურების“ შესაბამისად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი (კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი/ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი) დირექტორს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ჩამოწერა, ანგარიშგება, ინსპექტირება და უტილიზაცია.

აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისითვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის მიწოდება.

**დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 29/11/2021 წლის N01-04/212 ბრძანებით) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“, რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება კოლეჯის რესურსების შეფასება. შეფასების მეთოდად ხარისხის მართვის სამსახურს გამოყენებული აქვს გამოკითხვის მეთოდი. ისინი ყოველწლიურად ახორციელებენ კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაც განმარტა რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებას მოდულების მიხედვით და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით.

რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელსაც ახორციელებს ინვენტარიზაციის კომისია კოლეჯის დირექტორის 12.11.2021 წ N01-04/204 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის პროცედურების დაცვით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მატერიალური რესურსების განკარგვის წესის დაცვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერვიურების ფარგლებში აღინიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს სააუდიტორიო მეცადინეობებზე/პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესებზე დასწრებას და ამ პროცესებში გამოყენეული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და მათ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიმართულებით.

**კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის შენობაში განთავსებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, რაც covid-19 გავრცელების პრევენციული წესის მიხედვით მოთხოვნას წარმოადგენს. სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

კოლეჯის ყველა აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

კოლეჯში გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. სასაწავლო აუდიტორიები კი განლაგებულია შენობის ორივე სართულზე. სათავსოსთვის გამოყოფილია სარდაფი.

**კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას**.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

კოლეჯის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, იგი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია დირექტორის 06.03.2019 წლის N 01-04/38 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“ და 21.05.2021 წლის N01-04/68 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. კოლეჯს შესყიდული აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა OPAC.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები, ელექტრონული ვერსიები და დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკარი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისდ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ინვენტარიზაციის აქტები;
3. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის №01-04/2019 (ცვლილება ბრძანება N01-04/14, 28.01.2022) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი";
5. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტები;
6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მატერიალური რესურსების და მასალების შესყიდვების დოკუმენტაცია;
7. დამლაგებლების და დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი;
8. პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
9. ცენტრალური გათბობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - საგადახდო დავალებები, ქვითრები;
10. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N01-04/95 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის N01-04/216 ბრძანებით) დამტკიცებული „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

11. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულება და სერტიფიკატი;
12. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების ამსახველი ფოტომტკიცებულება;
13. 2020 წლის 23 დეკემბრის N01-04/219 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 28.01.2022 წლის N01-04/14 ბრძანებით) „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“.
14. სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
15. ხარისხის უზრუნველყოფის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
16. მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია;
17. კოლეჯის შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
18. შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
19. კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
20. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

კოლეჯმა 2020 წლის 19 აგვისტოს მდებარე შენობების უსაფრთხოების მიზნით ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ხელშეკრულება გააფორმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და მიიღო დასკვნები, რომლის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის შენობებში საქმიანობის განხორციელება უსაფრთხოა, ხოლო, 2021 წლის 4 აგვისტოს N 768958 კორესპონდენციით კოლეჯმა მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შემოწმებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში კონსულტირების მიზნით. აღნიშნული მიწერილობის საფუძველზე შემოწმდა კოლეჯის მფლობელობაში მყოფი შენობა-ნაგებობები და კოლეჯმა მიიღო რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის. კერძოდ მეორე საევაკუაციო გასასვლელის (კიბის) მონტაჟი I კორპუსის შენობის მე-3 და მე-2 სართულებიდან და II კორპუსში განთავსებული საერთო საცხოვრებლიდან; შენობების (კოლეჯის I, II და III კორპუსების) სხვენში და პირველი სართულიდან კიბის უჯრედიდან სარდაფში ჩასასვლელში მოსაწყობია არანაკლებ 30 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო კარი; I, II, III და IV კორპუსებში გასამართია შენობის ფართზე დამონტაჟებული სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია და ადამიანთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემები. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით დაწესებულებამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მიიღო დაფინანსება, თუმცა, ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენის დროს შესასრულებელი დარჩა 3 პუნქტი, რის გამოც მათ მიერ შემუშავებული იქნა გაუმჯობესების გეგმა, რომელშიც სამუშაოების შესრულებისთვის ვადად გათვალისწინებული იქნა 6 თვეზე მეტი, კერძოდ 9 თვე. კოლეჯის თვითშეფასებით კომპონენტის მოთხოვნა კი მეტწილად შეფასდა, თუმცა, არასწორად, ვინაიდან, კოლეჯის მიერ არ მოხდა სამუშაოთა შესრულებისთვის საჭირო 9 თვიანი ვადის გათვალისწინება. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მოხდა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვა, მათთან დაზუსტდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების რეალურად საჭირო ვადები. მათ დაადასტურეს, რომ ვერ მოხერხდება სამუშაოთა დასრულება 6 თვის ვადაში. შესაბამისად, განემარტათ, რომ დაწესებულებას ასეთ შემთხვევაში კოლეჯს უნდა წარმოედგინა შესაბამისობის გეგმა და შეეფასებინა კომპონენტის მოთხოვნები როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული გეგმით გაწერილ ვადაში სამუშაოების დასრულების უზრუნველყოფა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის.

კოლეჯში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის კოლეჯში შრომის, ჯანმრთელობის, სახანძრო და საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება, ტრენინგების ჩატარება და სხვა აქტივობები. იგი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიხედვით არის სერტიფიცირებული პირი.

**დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების გამოსწორების მიზნით და წარმოადგინა დირექტორის მ/შ -ის მიერ 2022 წლის 18 ივლისის N 01-04/137 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომელიც ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ ხარვეზს, აქტივობას, განხორციელების პერიოდს (18.07.2022 – 18.01.2023წწ.), პასუხისმგებელ პირს, შემსრულებელს, რესურს, კოლეჯის გარდა სხვა ჩართულ მხარეებს და მტკიცებულებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტებმა გავითვალისწინეთ აღნიშნული დოკუმენტი და დაწესებულების მხრიდან გამოთქმული მზაობა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და გავეცით შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება.

**შესაბამისად, კომპონენტის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია 2020 წლის 1 ივლისს დირექტორის N01-04/95 ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილებები განხორციელდა 21.12.2020 წლის 21 დეკემბერს N01-04/216 ბრძანებით) „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“. კოლეჯში მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, ხოლო საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შესაბამისი კომპეტენციის მედდა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა, ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტის მუშაობის დამადასტურებელი მედიკამენტების აღრიცხვისა და გაცემისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები.

**კოლეჯში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**

დაწესებულებაში შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის N364743 წერილით შეთანხმებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 15 თებერვლის N01-04/30 ბრძანებით და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით დამტკიცებულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

„სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმას“. ასევე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

**დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

კოლეჯის პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 2 დარაჯი და კოლეჯის შენობა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე სათვალთვალო 8 კამერით.

**აღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. თუმცა, დაწესებულებას არცერთი საშტატო ერთეულის ფუნქციებში არა აქვს განსაზღვრული თუ ვინ ჰყავს ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასხისმგებელი პირი, როგორც მისი დაზიანების (ტექნიკური მხარე), ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღების (პროგრამული მხარე) ჭრილში და მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შესაბამის საშტატო ერთეულზე ან ერთეულებზე განსაზღვროს პასუხისმგებელი ვიდეოსათვალთვალო კამერებზე როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ ნაწილში.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2020 წლის 1 ივლისის კოლეჯის დირექტორის N01-04/95 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილებები 2020 წლის 21 დეკემბრის N01-04/216 ბრძანებით) „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“;
2. მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულებაა და სამუშაოს აღწერილობა;
3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

4. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
5. 2019 წლის 15 თებერვლის №01-04/24 და 2019 წლის 13 მარტის №01-04/46 ბრძანებებით დამტკიცებული "საგანგებო შტაბის შექმნა, საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქცია- მოვალეობების განსაზღვრა და საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა";
6. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
7. მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
8. დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
9. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა;
10. შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან 2021 წელს 17 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N 03-08/188 დაცვის მომსახურების შესახებ.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

### 5.2 საინფორმაციო რესურსები

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

კოლეჯს შესყიდული აქვს 50 მგ-იანი სიმძლავრის ინტერნეტ მომსახურება დ/ხულოსთვის. ყველა კაბინეტი (ადმინისტრაციული, A და B გარემო) აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით. კოლეჯის ეზოში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, რომლის მეშვეობით ხდება მკითხველების ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან დაკავშირება.
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისს პროცედურები -03/07/2020 წლის N01- 04/97 ბრძანების (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) საფუძველზე დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ინტერნეტ-პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულების გადამოწმება და ამასთანავე IT ინფრასტრუქტურის ფიზიკური დათვალიერება, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება და **დასტურდება რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინტერნეტ-რესურსი; ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებში მკითხველებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა.**

PDF Eraser Free

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

კოლეჯში შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები -03/07/2020 წლის N01- 04/97 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) და „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის და IT რისკების მართვის პოლიტიკა“. კოლეჯს ჰყავს კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობრივი ინსტრუქციით ევალება: კოლეჯის ტექნიკაზე - კომპიუტერების გამართულ მუშაობაზე, კომპიუტერულ ქსელებზე, სერვერებზე, უკაბელო ინტერნეტსა და სხვა აიტი მომსახურების გაწევა და ზრუნავა; ყველა სახის კომპიუტერული ტექნიკის ზუსტი აღრიცხვის, მათი შეკეთებისა და საიმედო შენახვის უზრუნველყოფა; ლექციისათვის საჭირო ტექნიკის მზადყოფნაში მოყავანა; IT ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირთან მოხდა გასაუბრება და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ IT რისკების მართვის პოლიტიკის საშუალებით ნამდვილად ხდება პოლიტიკის საფუძველზე დადგენილი წესების განხორციელება და მონიტორინგი. პასუხისმგებელი პირის პირადი საქმის შემოწმებისა და გასაუბრების საფუძველზე **დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

კოლეჯში შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“, რომლის შესაბამისად ხორციელდება: პერსონალური მონაცემების დამუშავება და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კოლეჯის კომპიუტერული ქსელის სპეციალისტი, თანამდებობრივი აღწერილობიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემები. დაწესებულებაში ტარდება თანამშრომელთა ტრენინგი პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია

PDF Eraser Free

თანამშრომელთა პირადი მონაცემები, ფოტო, ელ-ფოსტა. აღნიშნულთან დაკავშირებით მათი თანხმობა მოპოვებულია წერილობით და ინახება მათ პირად საქმეში. სტუდენტებთან გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და ასევე ინახება მათ პირად საქმეში.

**დაწესებულებაში დაცულია პერსონალური მონაცემები.**

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

კოლეჯში საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და პროფილაქტიკა ხორციელდება „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის და IT რისკების მართვის პოლიტიკის" შესაბამისად.

**აღნიშნულის საფუძველზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარდა გასაუბრება და დასტურდება, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და მონიტორინგის საფუძველზე პროფილაქტიკას.**

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და შესაბამისი მომსახურება ქსელის სპეციალისტის ხელშეწყობით. მეცადინეობების დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით სასწავლო აუდიტორიებში და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობით ბიბლიოთეკაში.

**პასუხისმგებელ პირებთან პირებთან,** კოლეჯის პერსონალთან და პროფესიული სტუდენტებთან **გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და შესაბამისი მომსახურება ქსელის სპეციალისტის ხელშეწყობით.**

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კოლეჯში ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა - eflow. ხოლო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქ- გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და საქართველოს ფოსტის საშუალებით. კოლეჯის დირექტორის 14.07.2020 წლის N01-04/113 ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, ერთიანი საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნის (email-ის მეშვეობით) მიზნით პასუხისმგებელი პირი, რომელიც პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ახლადშექმნილ ელექტრონულ ფოსტას აწვდის რეესტრის სპეციალისტს, რომ მონაცემები ასახოს შესაბამის ბაზაში. დამატებით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით კოლეჯში დანერგილია Office 365-ის პლატფორმა, როგორც თანამშრომლებისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები- 03/07/2020 წლის N01- 04/97 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) „საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა“;
2. ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
3. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი -22.07.2020 წლის N01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 21.12.2020 წლის N 01-04/216 ბრძანებით) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი”.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

შეფასება: PDF Eraser Free

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 06.07.2020 წლის N01-04/100 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01- 04/218 ბრძანება) დამტკიცებული „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი" საქმისწარმოება კოლეჯში აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით. მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი ახდენს:
ა) კოლეჯში შემოსული ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველადი დამუშავება, ელექტრონულ "pdf" ფორმატში გადაყვანა და ადრესატისათვის დაუყოვნებლივი გადაგზავნა;
ბ) კოლეჯში მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტის დედანის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისი შემსრულებლისათვის წარდგენა;
გ) დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;
დ) ელექტრონული დოკუმენტის ჩამოწერის (უზრუნველყოფა არსებობის შემთხვევაში).
ე) კოლეჯის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტაციის დროული გაგზავნის უზრუნველყოფა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ვ) მატერიალურად გასაგზავნი დოკუმენტის ამობეჭდვა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალური ხელმოწერის უზრუნველყოფა;
ზ) დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, დოკუმენტების რეგისტრაცია და ადრესატებისათვის მიწოდება;
თ) საქმისწარმოების წესის აქტუალიზება, წესისა და მასში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა პერსონალისათვის;
ი) საარქივოდ საქმეთა მომზადება და გადაცემა საარქივო საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის;

კ)საქმეთა ნომენკლატურის პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარდგენა;
ლ) სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება რაც უზრუნველყოფს კოლეჯში საქმისწარმოების შეუფერხებელ და სწორ წარმართვას;
საშტატო განრიგით გათვალისწინებულია საქმისმწარმოებელი.

**აღნიშნულისა საფუძველზე ჩატარდა გასაუბრება ასუხისმგებელ პირთან, ამასთანავე შემოწმდა 06.07.2020 წლის N01-04/100 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01- 04/218 ბრძანება) დამტკიცებული „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი" , რომლის საფუძველზეც ექსპერტების მიერ დასტურდება, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით გასაზღვრულ მოთხოვნებს.**

**2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა WWW.EFLOW.EMIS.GE. ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა teams, Google, office 365 , zoom და სხვა პლატფორმები.

**აღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. თუმცა დაწესებულება WWW.EFLOW.EMIS.GE -ის გარდა იყენებს სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა teams, Google, office 365, zoom და სხვა**

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

კოლეჯში დირექტორის 03.06.2020 წ. N 01- 04/96 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01-04/218 ბრძანება) განსაზღვრულია "პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი (რეესტრის წარმოების წესი)", რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემაში (www.tvet.emis.ge) სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა" მუშაობის პირობები, სისტემაში ინფორმაციის მიწოდებასა და სისტემაში შეტანაზე პასუხისმგებელ პირები, ინფორმაციის შეტანა, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელება, ინფორმაციის ამოღების ვადები და წესები. წესი არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კოლეჯის შესახებ იმ ინფორმაციის ასახვისა და სისტემატიზაციის საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების პერსონალური მონაცემების შესახებ (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები), აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაციასთან; კოლეჯს საშტატო განრიგით ჰყავს რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომელიც ვალდებულია დადგენილ ვადებში შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია სისტემაში. იგი პასუხისმგებელია შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

**ექსპერტების შემოწმების საფუძველზე და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისას დამტკიცდა, რომ დაწესებულებაში რეესტრის წარმოება მიმდინარეობს ინდიკატორით განსაზღვრულ პირობებში და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მექანიზმის - კოლეჯში დირექტორის 03.06.2020 წ. N 01- 04/96 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01-04/218 ბრძანება) განსაზღვრული "პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი (რეესტრის წარმოების წესი)" საფუძველზე.**

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

კოლეჯი მუდმივმოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მინისტრის სახელზე ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით, ხორციელდება კოლეჯის მთელი წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა. ასევე, წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ცენტრი (მასწავლებელთა სახლი), საგანმანათლებლოდა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ.

**აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. 06.07.2020 წლის N01-04/100 ბრძანებით (ცვლილება 2020 წლის 21 დეკემბრის №01- 04/218 ბრძანება) დამტკიცებული „საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესი;“
2. პროფესიული მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა EFLOW.EMIS.G(პროგრამული უზრუნველყოფა);
4. მიღბული და გაგზავნილი კორესპონდეცია,გაგზავნილი ანგარიშები.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი (kpc.ge) და სოციალური ქსელი (facebook -სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა") ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას (უკუკავშირის შესაძლებლობა). ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას, კერძოდ:

- ✓ კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ✓ დაწესებულების სტრუქტურა;
- ✓ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ✓ ინფორმაცია პერსონალის შესახებ;
- ✓ ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- ✓ მთავარი სიახლეები;
- ✓ პროგრამების ანოტაციები: (სახელწოდება, ჩარიცხვის წინაპირობები, პროცედურები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის დასრულების შემდეგ გასაცემი დოკუმენტი, კურსდამთავრებულთა დასაქმების ან შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;)
- ✓ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, როგორიცაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული კატალოგი;
- ✓ კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები;
- ✓ ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სერვისების შესახებ;

- ✓ დასაქმების შესაძლებლობები: ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების შესახებ, დასაქმების სტატისტიკა, დასაქმების ხელშემწყობი აქტივობები და სერვისები;
- ✓ საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია, როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები და დროული სიახლეები;
- ✓ მედია კომუნიკაციის ამსახველი მასალა: პრესრელიზები, საგაზეთო პუბლიკაციები, სატელევიზიო/რადიოგაშუქებები;
- ✓ კოლეჯის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა და სხვა.

ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

**ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი (kpc.ge), რომელშიც ჩაშენებულია კატალოგი და სოციალური ქსელი (facebook -სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"), რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს, რითიც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

1. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**

კოლეჯის „ახალი ტალღა“ ხედვაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი და შესაბამისად კოლეჯი თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გამომდინარე აქედან კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდიც.

**ექსპერტების მიერ დადგენილ იქნა, რომ ვებ-გვერდს გააჩნია როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი ვერსია და შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

კოლეჯის დირექტორის 07.07.2020 წლის N01-04/104 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 24.12,2020 წლის N01-04/220 ბრძანებით) „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" განსაზღვრავს კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა, საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პრაქტიკა, გავრცელებული ინფორმაციის შინაარსები, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯში ღონისძიებების ჩატარებასა და პიარზე პასუხისმგებელს პირებთან და დაადგინეს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მ.შ. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებიც ატვირთულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილ იქნა, რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და ამასთავე უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რომლისთვისაც იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) და **შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**

3. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

შესახებ - კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: https://kpc.ge/learning/Catalog, ასევე ვებგვერდზე განთავსებულია: https://kpc.ge/Educationprograms პროგრამები აღწერილობებით, სადაც მითითებულია პროგრამების ხელმძღვანელთა საკონტაქტო ინფორმაცია (მოპოვებულია თანხმობა) და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და დეტალური ინფორმაცია მიიღონ პროგრამების შესახებ.
პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ გვერდზე https://kpc.ge/Programs აქვე განთავსებულია ამ პროგრამების მოკლე აღწერილობა (კატალოგი).
აღნიშნულის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს პროგრამების კატალოგი აღწერილობებით, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის საჭიროებისამებრ დაუკავშირდეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს (დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები-თანხმობის წერილი), ასევე ვებ-გვერდზე განთავსებულია მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების კატალოგი. ავტორიზაციის ექსპერტთა დადასტურებული იქნა, რომ **სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას მათი საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

4. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ვებ-გვერდზე https://kpc.ge/catalogue.html პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულებას აგრეთვე საჯაროდ გამოქვეყნებული აქვს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეს დაეხმარება პროგრამისა თუ სხვა ტექნიკური საკითხების დასადგენად და **დაწესებულება აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს;**

5. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში კოლეჯი სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს რა ხერხებით იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან მ. შ. სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში იტვირთება EFLOW-ის სისტემაში, რათა მოხდეს დროული და ეფექტური რეაგირება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებიდან. წერილს ენიჭება ნომერი და ისაზღვრება რეაგირების ვადა, რომლის დაცვა ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ. აგრეთვე, გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას მყისიერი რეაგირება აქვს სოციალური ქსელიდან შემოსული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მასზე დროული და ეფექტური უკუკავშირის გასაცემად და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების მიხედვით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან განიხილება მათ საფუძველზე კოლეჯის განმავითარებელი აქტივობები, რაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი - 07.07.2020 წლის N01-04/104 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 24.12,2020 წლისN01-04/220 ბრძანებით) „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი";
2. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
3. მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე kpc.ge, ასევეინგლისურენოვანი ვებგვერდი.
4. კატალოგი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

შეფასება: PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 5.3 ფინანსური რესურსები

### 5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიურების საფუძველზე. მათი განმარტებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება კოლეჯის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით და ასევე, გააჩნია საკუთარი სახსრები, მიზნობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური, გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, სამეურნეო და ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ და **დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და მათი ფინანსური ანგარიშების შესწავლით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მე-9 და მე-2 მუხლების მიხედვით საბიუჯეტო საჯარო ორგანიზაციებს არ აქვთ პორტალზე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება და მათ უნდა უზრუნველყონ საკუთარ ვებგვერდების საშუალებით ანგარიშების საჯაროობა. სსიპ ,,ახალ ტალღას" საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული აქვს კოლეჯის ფინანსური ანგარიშები წლების მიხედვით, რომლებსაც ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ ვიზიტის ფარგლებში და დეტალები დააზუსტეს დაწესებულების ფინანსურ მენეჯერთან ინტერვიუთი. მისი განმარტებით სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა" ყოველწლიურად ხორციელდება წინა წლის ფინანსური სიტუაციის ანალიზი, ასევე, ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების პარამეტრები და ანგარიში ქვეყნდება ვებგვერდზე https://kpc.ge/about-us/Accounts. ასევე, დაწესებულება ყოველი წლის იანვარში ახორციელებს ანგარიშის წარდგენას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით **სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**

**4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად კოლეჯი გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და ყოველი წლის ივლისში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს იმ მოცულობით, რომელიც დასტურდება წინა წლების ფინანსური ანალიზით, რის შემდეგაც სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ყოველი წლის დასაწყისში ხდება მისი დამტკიცება. განხილული იქნა რა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, **შესაბამისად, დაგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' 2021 და 2022 წლის ბიუჯეტები;
2. კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
3. სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' სამოქმედო გეგმა 2021 და 2022 წლებისთვის“;
4. კოლეჯის 2021 წლის ფინანსური ანგარიში;
5. შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა 2016-2021წ.წ. https://kpc.ge/about-us/Accounts

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | აჭარა, დ/ხულო, შავაძის 3 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულერი |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

## X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით), რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; მოდულის შემუშავება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია და დაწესებულების წარმომადგენლებთან /პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია, რაც ნათლად ჩანს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებიდან და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებულია 23.08.2021 წლის N -04/128 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, აპლიკანტთა შერჩევას, ტესტირებას (თუ აპლიკანტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება), აპლიკანტთა შეფასებას, პროგრამაზე ჩარიცხვასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული წესი, ასევე ითვალისწინებს სსმ პირების შერჩევას და ჩარიცხვას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს საბაზო განათლებას.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

დაწესბულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოს N – 04/122 ბრძანებით), რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რომელიც ეფუძნება სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და ითვალისწინებს: A/C გარემოს, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა; ორცვლიანი სწავლების პირობებში პროგრამის რესურსი შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსს, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 32 საათს.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A/C სასწავლო გარემო, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან - შპს 'გზა“, რომლის წარმომადგენელთან ონლაინჩართვით მოხდა გასაუბრება. პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 15.11.2017 წლის N 01-04/166 ბრძანებით და ბოლო ცვლილება არის შეტანილი 21.01.2022 წლის N01-04/08 ბრძანებით.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" სახელწოდება შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს, რომელშიც ცვლილებები შევიდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 მაისის N442793 ბრძანებით და 25 ივლისის N633096 ბრძანებით. **აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს ,, ელექტროობა“ რომელშიც ცვლილებები შევიდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 მაისის N442793 ბრძანებით და 25 ივლისის N633096 ბრძანებით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდელების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული (A2), რომლის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამას ემატება ქართული ენის მოდული (A2 - 15 კრედიტი).

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“;
4. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტთან - შპს „გზა“ გაფორმებული ხელშეკრულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

7. კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

### **2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტროობა“ ახორციელებს შემდეგ მისამართზე: აჭარა, დ/ხულო, შავაძის 3, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნო/დარგობრივი კაბინეტი.

**ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის დანართით წარმოდგენილ ინვენტართან. ასევე გადამოწმდა მათი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 30 (15 პროფესიული სტუდენტი - ორ ცვლაში).

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

კოლეჯი პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას ითვალისწინებს, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგიერთ შემთხვევაში - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც). გამომდინარე აქედან, მათი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით ორცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელებაში ჩართულია 2 დარგის და 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორის განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია დაემატოს პროფესიულ მოდულების განმახორციელებელი პედაგოგები, ვინაიდან ორივე ცვლაში ერთ მასწავლებელზე მოდის ძირითადი დატვირთვა, რომელიც ასევე პროგრამის ხელმძღვანელია, თუმცა თავად მასწავლებელი კვალიფიცირებული, გამოცდილი და მოტივირიბულია, არ არის დაკავებული სხვა სამუშაოზე.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. სასწავლო მეცადინეობებზე დასწრების ოქმები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ, როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. პროფესიული მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

გავესაუბრეთ ი/მ ცეცხლაძეს, რომელმაც აღნიშნა რომ ის არის კოოპერატისვის „ნატურ გიფტ" ის წევრი - ის ახდენს თაფლის, ფიჭის, ფუტკრის რძის შხამის, არყის - წარმოება- დაფასოება, ეტიკეტირებას. ასევე ახდენს დედების გამოყვანას. ი/მ შეუძლია ერთ ჯერზე მიიღოს - 12 პროფესიული სტუდენტი, პროდუქტების რეალიზაციას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე.

ხელშეკრულების მიხედვით, ინდ /მეწარმე ვალდებულია 8 პროფესიული მოდულის ფარგლებში (ჩამოთვლილია მოდულთა დასახელება) უზრუნველყოს სტუდენტთა დაშვება რეალურ სამუშაო გარემოში და განახორციელოს მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან ერთად ინდ/ მეწარმე ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა, სამუშაოს დაწყებამდე გააცნოს სტუდენტს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმები.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი 1 - სადაც გაწერილია პარტნიორის ბაზაზე არსებული რესურსის ჩამონათვალი.

მეფუტკრეობის პროგრამა მიმდინარეა და სასწავლო დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 11 პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეუწყდა 1 სტუდენტს.

ექსპერტთა მოთხოვნით დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

1.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #03-08/35 – 11 აპრილი 2022 წლის, რომლის მიხედვითაც კოლეჯმა „ახალი ტალღა" ვაუჩერული/მოდულირი სახსრებით, სასწავლო პროცესის სრულყოფილი წარმართვისათვის განახორციელა დანართი 1- ით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვა. დანართი 1 - მოიცავს მასალა და ნედლეულის პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. ამ შესყიდვაზე წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი რომელზეც ხელმოწერები დაფიქსირებულია 2022 წლის 27 აპრილს. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #03-08/72 – 22 ივნისი 2020 წელი, კოლეჯმა ბაზაზე არსებული საფუტკრე მეურნეობის გასამრავლებლად საბიუჯეტო სახსრებით შიძინა სკის მთლიანი კომპლექტი 25 ცალის ოდენობით. მიღება ჩაბარების აქტი გაფორმებულის 2020 წლის 26 ივნისს.

აღნიშნული აღჭურვილობის და მასალების არსებობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით.

**ავტორიზაციის ექსპერტის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია ხელშეკრულების დანართში სწავლის შედეგების დონეზე იყოს გამიჯნული პრაქტიკის ობიექტზე გატანილი საკითხები.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა “ პროფესიულ მასწვლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. აქედან გამომდინრე, აღნიშნულ პროგრმაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერთიფიკატები.

მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 7 პროფესიულ მასწავლებელთან, 5 უძღვება ზოგად სავალდებულო მოდულებს. პროფესიულ მოდულებს ანხორციელებს 2 მასწავლებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა არის 12 პრფესიული სტუდენტი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 9/12, რაც სრულად უზრუნველყოფს მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის განხორციელების მდგრადობას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე. მათი შიდა შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას ახდენს პროფესიის სტანდარტის საფუძველზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების საფუძველზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად იგეგმება მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმა, აღნიშნული გეგმის შესრულებაში მასწავლებელთა ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი.

კოლეჯი სისტემატიურად ზრუნავს პესონალის განვითარებაზე, წარმოდგენილი აქვთ „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ - დამტკიცებული ბრძანებით 2020 წლის 28 დეკემბერი #01-04/225. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა კვლევის გაანალიზების შემდეგ კოლეჯის ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური ადგენს წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმას.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგების ჩამონათვალის თემატიკა ჩასატარებელი თვეების მიხედვით.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პედაგოგების პირადი საქმე, ასევე გავესაუბრეთ მათ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან შესაბამისი კომპეტენციის და აქვთ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა, იმისათვის, რომ მან შეძლოს საუკეთესოდ უხელმძღვანელოს მეფუტკრეობის პროგრამას.

სასწავლო დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ ფუნქცია მოვალეობები რომელსაც ეთანხმება და ხელმოწერით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნულებაა უზრუნველოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და საგანმანათლებლო პროგრამის მართვა. მასწავლებელთან ერთად, ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადებას, პროფესიულ სტუდენტთა აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად სათანადო კონსულტირებას, სწავლის დაწყების მომენტიდან ხელმძღვენელობს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს.

აწარმოებს კალენდარულ გეგმების ვალიდაცია/ მონიტორინგს. ასევე ახდენს შფასების პროცესის მონიტორინგს, ამზადებს შეფასების ინსტრუმენტებს და ვალიდაცას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოში უსაფრთხოების წესების გაცნობას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

.კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია კომპიუტერები. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკის ფონდი, გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, მოიცავს სხვა სახის ლიტერატურასაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტონული (CD დისკზე ჩაწერილი) და მატერიალური სახით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (https://kpc.ge/library.html) თავისუფალი წვდომის რეჟიმში.

მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებისათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

(ქალაქი, წელი)

კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

PDF Eraser Free

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები სსსმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს  სასწავლო რესურსების ადაპტირება. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ ირიცხებიან სსსმ პირები.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერულად, რაც უზრუნველყოფს  საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც კონკრეტულად გათვლილია თანხის რა ნაწილი რაზე იხარჯება და პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტთა მინიმალური  რაოდენობა.დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც ირკვევა რომ პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 8 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. 1.საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“;
2. 2.მეფუტკრეობის პროგრამსათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დანართი;
3. 3.მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
4. 4.პროგრამის განმახორციელებლების დანართი;
5. 5.პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
6. ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსი;
6. პროგრამის ბიუჯეტი;
7. გასაუბრების შედეგები;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. „ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები“ - დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 11 თებერვლის N01-04/25 ბრძანებით.
10. „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესი“ - დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“, 2022 წლის 11 თებერლის N01-04/26 ბრძანებით
11. „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ - დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“-დირექტორის 27.07.2020 წლის N01-04/125 ბრძანებით - ცვლილება 2020 წლის 28 დეკემბრის N01-04/225 ბრძანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

12. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #03-08/35 – 11 აპრილი 2022 წლი
13. „პერსონალის შეფასების წესი და საჭიროებათა კვლევის კითხვარი“ - დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ – 2020 წლის 28 დეკემბერი #01-04/225
14. 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
15. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;. 14.04.2020 წლის N01-04/56 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება: 09.11.2021 წლის N01-04/201)
16. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

### 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**
კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 25 დეკემბრის N01-04/222 ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212 ბრძანებით), რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს.
პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგია და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, ესენია:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტისშეფასების მიზნით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;
- დუალური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი;
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის;
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმეგანახორციელე-შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.“ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით. დემინგის ციკლის შესაბამისად 14.04.2020 წლის N01-04/56 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში " მეფუტკრეობა" შევიდა ცვლილებები შემდეგი ბრძანებებით: 9.10.2020 წლის N01-04/175 05.11.2021 წლის N01-04/199 09.11.2021 წლის N01-04/201.

PDF Eraser Free

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";

2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

3. კვლევის ანგარიშები;

4. .2018-2021 წწ. მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები;

5. კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები ;

6. ფაქტობრივი გარემოება და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელშიც დანართის სახით დამტკიცებულია „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებისა და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავებულია გაკვეთილების განრიგები - ცხრილები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მიმდინერე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

კოლეჯში საწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა , როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, კოლეჯი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

**ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათ საჭიროებებზე რეაგირების და შესაბამისი მომსახურების გაწევის შემთხვევები.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს, თეორიული მასალის წარმოდგენას პედაგოგები განახორციელებენ პრეზენტაციით.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს აგრეთვე : ინტერაქტიულ ლექციას; სასწავლო მასალების დემონსტრირებას; ჯგუფურ მუშაობას; დისკუსიას; ვიდეოს ჩვენებას; სასწავლო ექსკურსია; პრაქტიკული მეცადინეობას, ლაბორატორიული მეცადინეობას და სხვ.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

PDF Eraser Free

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით. ცვლილება: 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 , 2021 წლის 11 მარტის N01-04/29 , 2021 წლის 25 მარტის N01-04/43, 2021 წლის 2 ივნისის N01-04/76, 2021 წლის 27 ივლისის N01-04/110 და 2022 წლის 16 თებერვლის N01-04/32 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას იმ შმთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით. კერძოდ, როდესაც ხდება სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნება, მობილობა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა. ამ შემთხვევაში კოლეჯს გააჩნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს ჩარჩო დოკუმენტების ჩანაწერებიც მოიცავს.

**ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა** სტატუსის აღდგენის, მობილობის ამსახველი დოკუმენტაცია და შესაბამისად შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კოლეჯს სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტთან, რომელიც ითვალისწინებს მოდულების - „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ განხორციელების ხელშეწყობას. პროგრამა არ ითვალისწინებს „საწარმოო პრაქტიკას“.

**ექსპერტთა ჯგუფი ონლაინჩართვით გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობს მემორანდუმით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანებით), რომელიც სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და რომლის გაცნობასაც პროფესიული სტუდენტები ხელის მოწერით აფიქსირებენ. შრომის უსაფრთხოების წესი ითვალისწინებს: შრომის უსაფრთხოებას სამუშაოს დაწყების წინ; შრომის უსაფრთხოებას მუშაობის პროცესში; შრომის უსაფრთხოებას ავარიულ სიტუაციაში და შრომის უსაფრთხოებას სამუშაოს დასრულების შემდეგ. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

**აღნიშნული წესი არ ითვალისწინებს ჩანაწერს ისეთ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ფუტკრის დაკბენის შემთხვევაში, ალერგიული რეაქციების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ და სასწრაფო ქმედებების შესახებ.**

**ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია არსებობდეს ასეთი ჩანაწერი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებდეს ინსტრუქტაჟს ამ საკითხთან დაკავშირებით**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

2.“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი;

5.პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;

6. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი;

7.კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-14 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, რომლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხრივ შესამოწმებლად. ასევე გაწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. დოკუმენტის მე-15 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესს.

ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, იმ მიზნით თუ რამდენად არის კოლეჯის შეფასების ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დარგის ექსპერტის შეფასებით წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას. ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, ობიექტურად და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

PDF Eraser Free

**2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 მუხლის - 5.1, 5.2., 5.3. და 5.4 პუნქტები ითვალისწინებს: მტკიცებულებების ვერიფიკაციას; ვერიფიკაციის პირველ ეტაპს; ვერიფიკაციის მეორე ეტაპს; ვერიფიკაციის მესამე ეტაპს/მტკიცებულებების ვერიფიკაციის მეთოდოლოგიას და ვერიფიკაციის დასკვნასა და შედეგების განხილვას. დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შმდეგ პრინციპებს:- ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას და ობიექტურობას.

კოლეჯში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნს. დასკვნის განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად პრობლემის აღმოფხვრის გზებზე და შეფასების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ექსპერტთა გასაუბრება ვერიფიკაციის ჯგუფთან, რომლებმაც დაწვრილებით ასახეს ვერიფიკაციის პროცესი. ასევე გადამოწმდა განხორციელებული ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ, ინსტრუმენტის შეფასების ტექნიკური და შინაარსობრივი ნაწილის შეფასების შევსებული ფორმა, შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი, შეფასების ფურცელი და ვერიფიკაციის დასკვნა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-14 მუხლის 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე პუნქტები ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. კერძოდ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკრებილ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით გადასცემენ პროგრამის ხელმძღვანელს. მათ მიერ შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, პროგრამის ხელმძღვანელი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფელიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კოლეჯში „სასწავ ლო მარეგულირებელი წესით“ რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა/სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსი და სხვა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. .“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
3. კვალიფიკაციის მინიჭბასთან დაკავშირებული დოკუმენტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

4. საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისები და მტკიცებულებები;
5. სტუდენტების პორტფოლიოები;
6. კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 12 პროფესიული სტუდენტი.**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | აჭარა, დ/ხული, შავაძის N 3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

### X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------



*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" (დამტკიცებული 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით), რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; მოდულის შემუშავება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია და დაწესებულების წარმომადგენლებთან /პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია, რაც ნათლად ჩანს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებიდან და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი" (დამტკიცებულია 23.08.2021 წლის N -04/128 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, აპლიკანტთა შერჩევას, ტესტირებას (თუ აპლიკანტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება), აპლიკანტთა შეფასებას, პროგრამაზე ჩარიცხვასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული წესი, ასევე ითვალისწინებს სსმ პირების შერჩევას და ჩარიცხვას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება" დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით.

მოდულური და დუალური სასწავლო გეგმით სწავლება ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო იმ სასწავლო გეგმით სწავლებაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

დაწესბულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოს N – 04/122 ბრძანებით), რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რომელიც ეფუძნება სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და ითვალისწინებს: A, B და C (სასტუმრო) სასწავლო გარემოს, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა; ორცვლიანი სწავლების პირობებში პროგრამის რესურსი შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსს, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 32 საათს.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C (სასტუმრო) სასწავლო გარემო, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის წარმომადგენელთან ონლაინჩართვით მოხდა გასაუბრება. პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით), რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; მოდულის შემუშავება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია და დაწესებულების წარმომადგენლებთან /პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია, რაც ნათლად ჩანს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებიდან და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი" (დამტკიცებულია 23.08.2021 წლის N -04/128 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, აპლიკანტთა შერჩევას, ტესტირებას (თუ აპლიკანტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება), აპლიკანტთა შეფასებას, პროგრამაზე ჩარიცხვასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული წესი, ასევე ითვალისწინებს სსმ პირების შერჩევას და ჩარიცხვას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე" დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

დაწესბულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოს N – 04/122 ბრძანებით), რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ „ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რომელიც ეფუძნება სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და ითვალისწინებს: A/C გარემოს, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა; პროგრამის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსს, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 32 საათს.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე“ გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A/C სასწავლო გარემო, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან, რომლის წარმომადგენელთან ონლაინჩართვით მოხდა გასაუბრება. პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

PDF Eraser Free

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 23.07.2018 წლის N 01-04/109 ბრძანებით და ბოლო ცვლილება არის შეტანილი 21.01.2022 წლის N01-04/08 ბრძანებით.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ სახელწოდება შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს, რომელშიც ცვლილებები შევიდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N 882/ი ბრძანებით. **აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს ,, სატყეო საქმე “ რომელშიც ცვლილებები შევიდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N 882/ი ბრძანებით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდელების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2; B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. . პროგრამას ემატება ქართული ენის მოდული (A2 - 15 კრედიტი; B1 -15 კრედიტი ).

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
4. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

### 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკისობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატყეო საქმე“ ახორციელებს შემდეგ მისამართზე: აჭარა, დ/ხულო, შავაძის 3, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნო/დარგობრივი კაბინეტი, A/C გარემო. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტთან - „აჭარის სატყეო სააგენტოსთან“.

**ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის დანართით წარმოდგენილ ინვენტართან. ასევე გადამოწმდა მათი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 15 პროფესიული სტუდენტი.
**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

კოლეჯი პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას ითვალისწინებს, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგიერთ შემთხვევაში - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც). გამომდინარე აქედან, მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით ორცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ განხორციელებაში ჩართულია 2 დარგის და 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა „სატყეო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. სასწავლო მეცადინეობებზე დასწრების ოქმები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ, როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. პროფესიული მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- --------------

*(ქალაქი, წელი)*

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 16.12.2021 წლის N01-04/225 ბრძნებით არის დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა, იმისათვის, რომ უხელმძღვანელოს პროგრამას.

სასწავლო დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ ფუნქცია მოვალეობები რომელსაც ეთანხმება და ხელმოწერით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნულებაა უზრუნველოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და საგანმანათლებლო პროგრამის მართვა. მასწავლებელთან ერთად, ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, რითიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადებას, პროფესიულ სტუდენტთა აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად სათანადო კონსულტირებას, სწავლის დაწყების მომენტიდან ხელმძღვენელობს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს.

აწარმოებს კალენდარულ გეგმების ვალიდაცია/ მონიტორინგს. ასევე ახდენს შფასების პროცესის მონიტორინგს, ამზადებს შეფასების ინსტრუმენტებს და ვალიდაცას.

პროგრამის ხელმძღვანელი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოში უსაფრთხოების წესების გაცნობას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტონული (CD დისკზე ჩაწერილი) და მატერიალური სახით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (https://kpc.ge/library.html) თავისუფალი წვდომის რეჟიმში. მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებისათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი  წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ მოდულებში მითითებული ლიტერატურა. გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამაში მითითებული რესურსი, როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები სსსმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება ერთი სსსმ პირი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი, რომელიც წარმოდგენილია 11 სტუდენტის ოდენობით. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ თანდართული დოკუმენტაცია;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
3. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
4. მატერიალური რესურსის შესყიდვის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. პროგრამის ბიუჯეტი;
6. კოლეჯის ვებ-გვერდი;
6. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

7. ვიზუალური დათვალიერება;
PDF Eraser Free

8. კოლეჯის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

### 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 25 დეკემბრის N01-04/222 ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212 ბრძანებით), რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს.
პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგია და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, ესენია:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტისშეფასების მიზნით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------



(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;
- დუალური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი;
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის;
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს კოლეჯი ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.“ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით. დემინგის ციკლის შესაბამისად 23.07.2018 წლის N 01-04/109 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში " სატყეო საქმე" შევიდა ცვლილებები შემდეგი ბრძანებებით: 27.07.2018 წლის N 01-04/111; 22.02.2019 წლის N 01-04/30; 15.03.2019 წლის N 01-04/50; 29.10.2019 წლის N 01-04/181; 09.10.2020 წლის N01-04/175; 05.11.2021 წლის N01-04/199; 21.01.2022 წლის N01-04/08.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";

2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

3. კვლევის ანგარიშები;

4. .2018-2021 წწ. მიხედვით პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები;

5. კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები ;

6. ფაქტობრივი გარემოება და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

PDF Eraser Free

#### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4..პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელშიც დანართის სახით დამტკიცებულია „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებისა და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავებულია გაკვეთილების განრიგები - ცხრილები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

**ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მიმდინერე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

კოლეჯში საწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა , როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, კოლეჯი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

**ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათ საჭიროებებზე რეაგირების და შესაბამისი მომსახურების გაწევის შემთხვევები.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია მის განსახორციელებლად. კოლეჯში ტარდება მასტერკლასები, ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, ტრენინგზე დასწრების ფურცლებით და ცნობებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, რისთვისაც კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს და უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდულ ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში. პროფესიული მასწავლებლები ჩართულები არიან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება და ელრესურსების გამოყენება.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით. ცვლილება: 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 , 2021 წლის 11 მარტის N01-04/29 , 2021 წლის 25 მარტის N01-04/43, 2021 წლის 2 ივნისის N01-04/76, 2021 წლის 27 ივლისის N01-04/110 და 2022 წლის 16 თებერვლის N01-04/32 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას იმ შმთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით. კერძოდ, როდესაც ხდება სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნება, მობილობა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა. ამ შემთხვევაში კოლეჯს გააჩნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს ჩარჩო დოკუმენტების ჩანაწერებიც მოიცავს.

**ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა** სტატუსის აღდგენის, მობილობის ამსახველი დოკუმენტაცია და შესაბამისად შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის ნაწილი ხორციელდება პარტნიორ ორაგანიზაციაში. კერძოდ, „აჭარის სატყეო სააგენტოსთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება. პროგრამა ითვალისწინებს „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულს.

**ექსპერტთა ჯგუფი ონლაინჩართვით გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობს მემორანდუმით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანებით), რომელიც სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და რომლის გაცნობასაც პროფესიული სტუდენტები ხელის მოწერით აფიქსირებენ. შრომის უსაფრთხოების წესი ითვალისწინებს: შრომის უსაფრთხოებას სამუშაოს დაწყების წინ; შრომის უსაფრთხოებას მუშაობის პროცესში; შრომის უსაფრთხოებას ავარიულ სიტუაციაში და შრომის უსაფრთხოებას სამუშაოს დასრულების შემდეგ. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;

2.“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

PDF Eraser Free

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი;

5.პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ - „აჭარის სატყეო სააგენტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;

6. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი;

7.კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

### 2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-14 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, რომლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლსდ და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარიე შესამოწმებლად. ასევე გაწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. დოკუმენტის მე-15 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესს.

ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, იმ მიზნით თუ რამდენად არის კოლეჯის შეფასების ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დარგის ექსპერტის შეფასებით წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას. ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. შეფასების მტკიცებულებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

რელევანტურია. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, ობიექტურად და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
**2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 მუხლის - 5.1, 5.2., 5.3. და 5.4 პუნქტები ითვალისწინებს: მტკიცებულებების ვერიფიკაციას; ვერიფიკაციის პირველ ეტაპს; ვერიფიკაციის მეორე ეტაპს; ვერიფიკაციის მესამე ეტაპს/მტკიცებულებების ვერიფიკაციის მეთოდოლოგიას და ვერიფიკაციის დასკვნასა და შედეგების განხილვას. დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შმდეგ პრინციპებს:- ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას და ობიექტურობას.

კოლეჯში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნს. დასკვნის განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად პრობლემის აღმოფხვრის გზებზე და შეფასების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ექსპერტთა გასაუბრება ვერიფიკაციის ჯგუფთან, რომლებმაც დაწვრილებით ასახეს ვერიფიკაციის პროცესი. ასევე გადამოწმდა განხორციელებული ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ, ინსტრუმენტის შეფასების ტექნიკური და შინაარსობრივი ნაწილის შეფასების შევსებული ფორმა, შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი, შეფასების ფურცელი და ვერიფიკაციის დასკვნა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-14 მუხლის 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე პუნქტები ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. კერძოდ, მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკრებილ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით გადასცემენ პროგრამის ხელმძღვანელს. მათ მიერ შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, პროგრამის ხელმძღვანელი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფელიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შდეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

**კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კოლეჯში „სასწავ ლო მარეგულირებელი წესით“ რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა/სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსი და სხვა.

**კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. .“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

(ქალაქი, წელი)

2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
PDF Eraser Free
3. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
4. საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისები და მტკიცებულებები;
5. სტუდენტების პორტფოლიოები;
6. კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: 15 პროფესიული სტუდენტი.**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## XIII. თანდართული დოკუმენტაცია

PDF Eraser Free

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

22.07.2022..................
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-- ---------------

*(ქალაქი, წელი)*